პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის N17 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 121-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე #[redacted] საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე.

მუხლი 2

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის #17 (რეგისტრაცია #გ-47.47261482) განკარგულებაში:

ა) განკარგულებით დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხა ჩამოყალიბდეს დანართ №1-ის და დანართი #2-ის შესაბამისად;

ბ) განკარგულებით დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმა ჩამოყალიბდეს დანართ №3–ის და დანართი #4-ის შესაბამისად.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი
მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის
ქონებისა და მუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი